სტაჟირების პროგრამა
მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის IV საერთაშორისო სამიტის „ეთნოფესტი 2022“-ის ფარგლებში

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი სახელოვნებო სფეროს და კულტურის მენეჯმენტით დაინტერესებული პირებისთვის, სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის აცხადებს ორთვიან სტაჟირებას მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის IV საერთაშორისო სამიტის - „ეთნოფესტი-2022“-ის ფარგლებში.

სტაჟირების პროგრამა გულისხმობს ღონისძიების გამართვისთვის საჭირო პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

სასწავლო კურსი ხორციელდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის პროექტის „პროფესიული განვითარების პროგრამა მხატვრული რეწვის წარმომადგენლებისთვის“ (Upskilling Crafts Workforce) ფარგლებში USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით.

ზოგადი მოთხოვნები:

- კულტურის მენეჯმენტით დაინტერესებული პირები, სახელოვნებო სპეციალობების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები/კურსდამთავრებულები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გამოცდილება მიიღონ ფესტივალის გამართვის და ორგანიზების საკითხებში;
- თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ ენას, როგორც ზეპირი მეტყველება, ასევე წერილობით;
- გააჩნდეს კომუნიკაციის კარგი უნარები;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა.

სტაჟირების პერიოდი: 2 თვე (სექტემბერი, ოქტომბერი, 2022 წელი)

სამუშაო განრიგი: ყოველდღიური (შაბათ-კვირის გარდა) 4 საათი

დაინტერესებულმა პირებმა **2022 წლის 5 სექტემბრის** ჩათვლით შეავსეთ განაცხადის ფორმა (თანდართული CV ფორმით).

შერჩეულ კანდიდატებს დავუკავშირდებით **2022 წლის 8 სექტემბრამდე.**

სტაჟირების პროგრამაზე შეირჩევა 2 მონაწილე.

განაცხადის ფორმა იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/3wlbFiZ

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
(მობ.:) 593 397 153; 555 455 843
ელ. ფოსტა: info @gaccgeorgia.org
www.gaccgeorgia.org

დამატებითი ინფორმაცია:
მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის საერთაშორისო სამიტი - „ეთნოფესტი“
www.tbilisiethnofest.ge

„ეთნოფესტი" - მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის საერთაშორისო სამიტი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და მნიშვნელოვან პლატფორმას. ფესტივალი აერთიანებს ექსპოს, გამოფენებს, ტრენინგებს, პრეზენტაციებს, საჯარო ლექციებსა და ბიზნეს შეხვედრებს.

სამი დღის მანძილზე ღონისძიება ერთ სივრცეში თავს უყრის ადგილობრივ და უცხოელ შემოქმედებითი ინდუსტრიის წარმომადგენლებს, კერძოდ, მეწარმეებს, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დიზაინერებს, ხალხური რეწვისა და ხელნაკეთი პროდუქციის ოსტატებს, კომერციულ აგენტებს, დარგის ექსპერტებს, ბიზნესის წარმომადგენლებსა და ფართო საზოგადოებას.

სამიტი მიზნად ისახავს: ტრადიციული რეწვის და დიზაინის, როგორც შემოქმედებითი ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს, განვითარების ხელშეწყობას; დარგის როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში, მათ შორის ტურიზმის ინდუსტრიაში; ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ტრადიციული რეწვის ნაწარმის ცნობადობის გაზრდასა და პროდუქციის მარკეტინგის ხელშეწყობას.

„ეთნოფესტი" დაარსდა 2016 წელს ხელოვნების საეთაშორისო ცენტრის მიერ და მას შემდეგ ოპერირებს ბიენალეს პრინციპით. სამიტის პროგრამაში საგანმანათლებო კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ფესტივალის მსვლეობისას მონაწილეებს საშუალება აქვთ დაესწრონ გამორჩეული საერთაშორისო დონის დიზაინერებისა და ექსპერტების მიერ ჩატარებულ ვორქშოფებს, გაეცნონ ევროპული ბაზრის სტანდარტებს და უახლეს მარკეტინგულ ტენდენციებს, რაც მათ თავიანთი პროდუქციის საექსპორტოდ მოამზადებაში დაეხმარება.

სამიტში საშუალოდ 150-მდე ადგილობრივი მწარმოებელი იღებს მონაწილეობას, დამთვალიერებლების რიცხვი კი წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, ფესტივალის განმავლობაში პირდაპირი კავშირი მყარდება მწარმოებლებსა და მომხმარებელს/დამკვეთებს შორის. სამიტის შედეგებიდან და წარმატებიდან გამომდინარე, გრძელდება ტრადიცია და 2022 წლის 14-15-16 ოქტომბერს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯია"-ში კვლავ იმართება მხატვრული რეწვის და დიზაინის თბილისის მე-4 საერთაშორისო სამიტი „ეთნოფესტი 2022".